თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 7,
ტელ/ფაქსი: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

G. Tabidze st 7, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: (99532) 915254
Email:
<artstudio_project@yahoo.com>

კონსტრუქციული დასკვნა

მიმდებარე შენობების მდგრადობაზე

მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ბროსეს ქუჩისა და ბროსეს ჩიხის შეუღლების კუთხეში ამჟამად დაშლილი საცხოვრებელი სახლის და ტერიტორიის ბოლოში (ჩრდილოეთის მხარეს) არსებული, დასაშლელი აბურის სახლის ადგილზე.

საპროექტო შენობა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (ბროსეს ქუჩაზე) ესაზღვრება 2 სართულიან, მსხვილბლოკური კონსტრუქციების ტიპის შენობას, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან (ბროსეს ჩიხში) 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიას (ეზოს).

დასავლეთის მხარეს შენობის ეზო შემოსაძღვრულია არსებული აბურის საქრდენი კედლებით, რომლების ბროსეს ქუჩის მხრიდან სამ სართულიანი სახლისთვის ძმნიან ეზოს, რომლის სიმაღლე საპროექტო შენობის ეზოს დონიდან იქნება შვიდი მეტრი. ანუ ეს აბურის კედლები ფაქტიურად წარმოადგენენ საქრდენ კედლებს, რომლის ერთი ნაწილი ჩამოშლილია და გათვალისწინებულია მისი აღდგენა (იხ. სიტუაციური გეგმა).

აღნიშნული აბურის საქრდენი კედლების ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს სეისმური საიმედოობის მოთხოვნებს, განსაკუთრებით სეისმური ზემოქმედების პირობებში. ბააჩნია ნორმალური ექსპლუატაციისთვის საშიში ბზარები და დეფორმაციები. ამიტომ პროექტით გათვალისწინებულია ამ კედლების გამაგრება

რაც შეეხება ბროსეს ჩიხში მდებარე სახლს (გათვალისწინებულია მისი დემონტაჟი), მას ბააჩნია თავისი, მომიჯნავე ნაგებობებისაგან გამოყოფილი, აბურის მზიდი კედლები. (ანუ დასაშლელი და მის მოპირდაპირედ არსებული შენობების მზიდი კედლები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული და ერთის დემონტაჟი მეორეზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს) მისი დემონტაჟი უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების და პროექტით მიღებული გადაწყვეტებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის განთავსება საფრთხეს არ უქმნის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (ბროსეს ქუჩაზე) და ჩრდილოეთის მხრიდან (ბროსეს ჩიხში) მდებარე არსებულ შენობებს და გაძლიერების სამუშაოები არ არის საჭირო.

დასკვნას თან ერთვის ფოტოსურათები სათანადო განმარტებებით:



სურ.1 ხედი ბროსეს ქუჩიდან



სურ.2 ხედი ბროსეს ჩიხიდან



სურ.3 ხედი ბროსეს ჩიხიდან



სურ.4



სურ.5 ხედი ბროსეს ჩიხიდან
(დასაშლელი შენობის მზიდი ელემენტები არაა დაკავშირებული არსებულ შენობის მზიდ ელემენტებთან)



სურ.6 ხედი ბროსეს ჩიხიდან

ინჟინერ-კონსტრუქტორი: საბა პაპაშვილი
ტელეფონი: 599-32-33-68
მეილი: saba@artstudio.ge

06.10.2014